საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და
ეთიკის კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

N _____ __/__/____

ა ნ გ ა რ ი შ ი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მიმდინარე წელს ჩატარებული იქნა 19 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 30 საკითხი, აქედან საანგარიშო პერიოდში 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით 2 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 2 საკითხი:

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის თაობაზე.

პირველზე საკითხზე, რომელიც მომზადებული იქნა საქართველოს დემოკრატიული კავშირის რეკომენდაციის გათვალისწინებით, კომისიის მიერ შემუშავებული იქნა დასკვნა, რის შემდეგაც დადგენილება დამტკიცებული იქნა საკრებულოს მიერ.

მეორე საკითხზე კომისია გაეცნო გამგეობის მიერ მომზადებულ დადგენილების პროექტს, რომელიც წარმოდგენილი იყო ექსელის ფორმის ცხრილითა და განმარტებითი ბარათით და აღმოაჩინა უზუსტობანი ცხრილსა და განმარტებით ბარათში წარმოდგენილ მაჩვენებლებს შორის, რის გამოც მიიღო

გადაწყვეტილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არსებული ხარვეზების გასწორების თაობაზე.

დაზუსტებული მონაცემებით წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტზე კომისიაში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა. აუხლოეს დღეებში მოწვეული იქნება კომისიის სხდომა, რომელიც შეიმუშავებს და დაამტკიცებს დასკვნას იმ შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, რაც გამოთქმული იქნება კომისიის წევრების მიერ.

ეროდი გორდელაძე

კომისიის თავმჯდომარე

სამანდატო,საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია